



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 3 ოქტომბერი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია „ელკანა“ - ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
3. თამარ გობეჯიშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. მარიკა ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
5. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
6. ელენე შატბერაშვილი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
7. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
8. ნანუკა კეზევაძე - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის

განსახილველი საკითხები:

- ✓ ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური რიგით მე-10 ასამბლეის მომზადების შესახებ
ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
- ✓ სათაური „მცირე ფერმერები ევროპის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“
ელენე შატბერაშვილი - ასოციაცია „ელკანა“
- ✓ ასოციაციების დღის წესრიგის შესაბამისად მეორე სამუშაო ჯგუფის სტრატეგიის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ
კვა გეგეშიძე - ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტი - საქართველო“
- სხვა საკითხები

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ჯგუფის კოორდინატორმა სამუშაო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური რიგით მე-10 ასამბლეის მომზადების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქართველოში აღნიშნული ფორუმის ჩატარება არის ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი, რამდენადაც აღნიშნულ ღონისძიებაზე გათვალისწინებულია მაღალი რანგის დელეგაციების მონაწილეობა.

ჯგუფის კოორდინატორი, ასევე დაინტერესდა ფორუმზე დელეგატების შერჩევის წესთან დაკავშირებული დეტალებით, მან თხოვნით მიმართა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის თანა-თავმჯდომარეს და საქართველოს ეროვნულ კოორდინატორს მოამზადონ წერილობითი პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თემატური სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა, დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ფორუმისთვის ჯგუფის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები მიმდინარე თვის ბოლომდე, რათა მოხდეს მათი გაჟღერება სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე.

ასოციაცია „ელკანა“-ს წარმომადგენელმა, ელენე შატბერაშვილმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე „მცირე ფერმერები ევროპის სოფლის მეურნეობის მდგრადი

განვითარებისათვის“. მან დეტალურად ისაუბრა აღნიშნული თემის მნიშვნელობაზე და იმ პრიორიტეტებზე, რომელსაც მოიცავს ეს პროექტი. ძირითადი ჩარჩო აღნიშნული ინიციატივის არის გლეხთა და ფერმერთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება. ასოციაცია ელკანამ შესთავაზა მეორე სამუშაო ჯგუფის წევრებს აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გაიმართოს მცირე მასშტაბიანი ღონისძიება საერთო კამპანიის ფარგლებში. აღნიშნული კამპანიის მიზანი იქნება აგროეკოლოგიური გარანტიების დაცულობა, სურსათის უვნებლობა და ჯანსაღი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ჯგუფის კოორდინატორმა ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ შესთავაზა ასოციაცია „ელკანა“-ს ციფრული მარკეტინგული კამპანიის ჩატარება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მეორე სამუშაო ჯგუფს. გავრცელდება სოციალური ქსელებით და იქნება მარტივი და ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას და მათ აქტიურ ჩართულობას.

ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ, მიმოიხილა ჯგუფის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხი. მან ისაუბრა ეროვნული პლატფორმის მიერ ჩატარებულ რეგიონალურ აქტივობებზე, რომლებიც გულისხმობდა პლატფორმის მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ მეორე სამუშაო ჯგუფს დღის წესრიგში გაწერილი აქვს ქვეჯგუფების ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც ასევე მუშაობის პროცესშია.

დამატებით საკითხად, ფინანსური ხელმისაწვდომობის ქვეჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა კონსტანტინე ჟღენტმა ისაუბრა არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირებისა და მათი გაძლიერების აუცილებლობაზე. ასევე იმ პრობლემებზე, რომლებიც ეხება დაფინანსების საკითხს და ხაზი გაუსვა დონორებთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე. მან ჯგუფის წევრებს შესთავაზა მოხდეს შეხვედრის ორგანიზება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ახალ ელჩთან, კარლ ჰარცელთან, რათა მოხდეს მიმდინარე საკითხებზე მოსაზრებებისა და შეხედულებების გაზიარება და აზრთა ურთიერთგაცვლა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე